დანართი №6

პროექტის სათაური: საქართველოს სატრანსპორტო სექტორის, ევროპულ სისტემებთან ურთიერთთავსებადობის და ინტერმოდალურობის პრობლემის ანალიზი

პროექტის წარმდგენი ახალგაზრდა მეცნიერი: ბორის გითოლენდია

პროექტის რეზიუმე
(რეკომენდებულია 200 სიტყვამდე)

პროექტი ეძღვნება საქართველოს სატრანსპორტო სექტორის ევროპულ სატრანსპორტო სისტემებთან ურთიერთთავსებადობისა და ინტერმოდალურობის პრობლემას.
ცონობილია, რომ საქართველოს ადგილმდებაროების გათვალისწინებით, სატრანსპორტო დერეფნის რაციონალური გამოყენება და ტრანსპორტის დარგის განვითარება სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესია საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის.
კვლევა გულისხმობს, **საქართველოს სატრანპორტო სექტორის** ევროპულ სისტემებთან ურთიერთთავსებადობის **პრობლემების მეცნიერულად დამუშავებას ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხების კონტექსტში.**

საპროექტო იდეა ახალია იმის გათვალისწინებით, რომ:

ა)მეცნიერულად, ვრცლად, პირველად დამუშავდება საქართველოს ტრანსპორტის (საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო) და მასთან დაკავშირებული ძირითადი ინფრასტრუქტურის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. კვლევის შემდგომ შესაძლებელი გახდება **სექტორის ინტერმოდალურობისა და სამომავლო პოტენციალის შეფასებაც;**

ბ)მეცნიერულიდ პირველად გაანალიზდება, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანსპორტთან დაკავშირებული ქვეთავი (კარი 6).

გ)მონოგრაფიულად დამუშავდება საქართველოს ძირითადი სატრანსპორტო დარგების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ნაკლოვანება, (ტექნიკური-საინჟინრო, საკანონმდებლო და სხვა), რაც **თავის მხრივ, გააადვილებს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემის კიდევ უფრო ეფექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობას;**

დ)პირველად შეიქმნება ისეთი დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირების მეტ ინფორმიერბას, რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება დარგის განვითარებას და გაადვილებს საერთაშორისო საზოგადოებასთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობას;

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებით ერთ დოკუმენტად დამუშავებული არანაირი მეცნიერული მასალა. შესაბამისად, პროექტს განხორციელების შემთხვევაში ექნება **პრაქტიკული მნიშვნელობა.**